საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1571
09/03/2023

1571-21-2-202303091755

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"
მის: ქ.თბილისი, ზარათაშვილის №2
ელ.ფოსტა: Zezva.khvedelidze@gse.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6019 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება 220 კვ. ,,პალიასტომი 1''-ს შეჭრის 220/110/35 კვ. ქ/ს ,,ოზურგეთში'' და 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის" ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური ,,ოზურგეთის'' განთავსების პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას საპროექტო ეგხ-ს მისასვლელი გზების შესახებ, როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპისთვის;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს გეოლოგიურ რუკასა და ეგხ-ს ტრასის პიკეტურ აღწერას, სადაც მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საკვლევ არეალში საშიში გეოლოგიური პროცესების არსებობა-არარსებობის შესახებ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით. ამასთან სკრინინგის განცხადების გეოლოგიური ნაწილი მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას.
- დამატებით გიგზავნით 220 კვ. ,,პალიასტომი 1''-ს შეჭრის 220/110/35 კვ. ქ/ს ,,ოზურგეთში'' და 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის" ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური ,,ოზურგეთის'' განთავსების პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს წერილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო